

„დამტკიცებულია“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

2013 წლის „18“ დეკემბერი, № 69 ბრძანებით



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ

საკითხთა კომისიის აპარატის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის (შემდგომში - კომისია) აპარატი არის კომისიისადმი დაქვემდებარებული უმაღლესი საბჭოს აპარატის მუდმივმოქმედი სტრუქტურული ერთეული.

2. კომისიის აპარატი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, კომისიის დებულების და ამ დებულების შესაბამისად.

თავი II

კომისიის აპარატის ძირითადი ამოცანები, ფუნქციები და უფლებები

მუხლი 2

1. კომისიის აპარატის ძირითადი ამოცანებია კომისიის წევრების კანონშემოქმედებითი, საკონტროლო და ორგანიზაციული საქმიანობის სამართლებრივი, დოკუმენტური, საცნობარო-საინფორმაციო, ანალიტიკური და ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

მუხლი 3

კომისიის აპარატი:

ა) მონაწილეობს კომისიის სამუშაო გეგმების, სამუშაო გეგმით გათვალისწინებული კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტების, კომისიის გადაწყვეტილებების პროექტების შემუშავებაში, კანონპროექტებზე დასკვნების, შენიშვნების, წინადადებების მომზადებაში, კომისიის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში;

ბ) კომისიის დებულებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს საკონსულტაციო, ანალიტიკურ ფუნქციებს, ახდენს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებასა და საქმისწარმოებას;

გ) ორგანიზებას უწევს კომისიაში მოქალაქეთა მიღებას, კომისიაში წევრებთან ერთად განიხილავს მოქალაქეთა წერილებს, საჩივრებსა და განცხადებებს, აგრეთვე კომისიაში შემოსულ სხვა კორესპონდენციას;

დ) კომისიის სხდომებზე განსახილველად ამზადებს დასკვნებს, წინადადებებს, ცნობებსა და ინფორმაციას;

ე) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების, საკომისიო მოსმენების, კომისიაში სამუშაო/საკონსულტაციო თათბირების, საქმიანი შეხვედრების მომზადებას, უზრუნველყოფს მათი მსვლელობის დადგენილი წესით დაფიქსირებას და მიღებული გადაწყვეტილებების საოქმო გაფორმებას;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს უმაღლესი საბჭოს აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, უმაღლესი საბჭოს სხვა კომისიებთან, ფრაქციებთან და დროებით შექმნილ კომისიებთან, აგრეთვე კომისიის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საწარმოებთან, სხვა დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, უცხო ქვეყნების საპარლამენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებთან;

